



## სასაქონლო ზედნადების ატვირთვა ჩამოტვირთვა


ორის ბუღალტერიაში შესაძლებელია თქვენს მიერ შესრულებული ოპერაციების(მიწოდების, გადატანის, მყიდველისაგან მობრუნების .) შესაბამისი სასაქონლო ზედნადების ატვირთვა შემოსავლების სამსახურის ვებ გვერდზე და ასევე ვებ გვერდიდან ჩამოტვირთვა.

მიმდინარე მაგალითში განვიხილოთ მიწოდების ოპერაციის შესაბამისი ზედნადების ატვირთვა და ჩამოტვირთვა.

**მენეჯერული აღრიცხვა/მიწოდების ოპერაციები** . დადებით მიწოდების ოპერაციაზე რომლის შესაბამის ზედნადებსაც ტვირთავთ და დააჭირეთ ღილაკს  შემოსავლების სამსახურის ზედნადების ატვირთვა.




ჩამოშლად ველში „ზედნადების ტიპები“ არის ზედნადების ტიპების ჩამონათვალი ,თუ რა ტიპის ზედნადების ატვირთვაა შესაძლებელი შემოსავლების ვებ გვერდზე.





აირჩიეთ „ტრანსპორტირებით“


ველში „ტრანსპორტირების სახე“ არის , ტრანსპორტირების სახეობების ჩამონათვალი.



აირჩიეთ „საავტომობილო“


ველში „მძღოლის პ/ნ“ ,მიუთითეთ მძღოლის პ/ნ . დადევით აღნიშნულ ველზე  ღილაკზე დაჭერით (ან კლავიატურაზე Alt+B),გადით „დებიტორ/კრედიტორების“ სიაზე.

დააჭირეთ ღილაკზე  .იხ.ეკრანს.




მონიშნეთ „პიროვნება“ და დააჭირეთ ღილაკს „ავირჩიოთ“. შეავსეთ გამოსული ეკრანი შესაბამისი ინფორმაციით.


შეგიძლიათ მხოლოდ აუცილებლად შესავსები ველები შეასოთ.ესენი არიან „პირადი ნომერი“ და „სახელი გვარი“ შეავსეთ და დააჭირეთ ღილაკს „შევინახოთ“.



დააჭირეთ ღილაკს „ავირჩიოთ“

თუ მძღოლი არ არის საქართველოს მოქალაქე, მაშინ მონიშნეთ ველი „უცხო ქვეყნის მოქალაქე“. ამ შემთხვევაში არ მონიშნოთ.

ველში „ა/მ ნომერი“ მიუთითეთ ავტომობილის ნომერი. . დადექით აღნიშნულ ველზე  ღილაკზე დაჭერით (ან კლავიატურაზე Alt+B), გადით „სატრანსპორტო საშუალებები“ სიაზე და დაამატეთ ჩანაწერი. შეავსეთ ველები შესაბამისი ინფორმაციით .დააჭირეთ ღილაკს „OK“.



დააჭირეთ ღილაკს „ავირჩიოთ“.

ველში „მისაბმელი“ მიუთითეთ მისაბმელის ნომერი თუ ავტომობილი რომლითაც გადაგაქვთ საქონელი აქვს მისაბმელი.

ველი „ტრანსპორტირების ხარჯი“ შეავსეთ თუ ცნობილია ტრანსპორტირების თანხა. ამ შემთხვევაში არ შეავსოთ

ველი „ტრანსპორტირების ხარჯს იხდის“ მონიშნეთ შესაბამისი მოსანიშნი ვინც იხდის ხარჯს.

ამ შემთხვევაში დატოვეთ მონიშნული მოსანიშნი „მყიდველი“.

დააჭირეთ ღილაკს „შემდეგი“.

The screenshot shows a software window with the following fields and options:

- ტრანსპორტირების დაწყების თარიღი
- დაწყების თარიღი: 23.10.2021 17:36:57
- მიწოდებული საქონლის ჩაბარების თარიღი
- ჩაბარების თარიღი: 23.10.2021 17:36:57
- ტრანსპორტირების დაწყების ადგილი: პეკინის 10
- ტრანსპორტირების დასრულების ადგილი: პეკინის 5
- შენიშვნა: [Empty field with a search icon]
- ჩამბარებელი: [Empty field with a search icon]
- მიმღები: [Empty field with a search icon]

Buttons at the bottom: << წინ, შემდეგ >>, დასასრული, შევწყვიტოთ

თუ გსურთ რომ საიტზე აიტვირთოს თქვენს მიერ მითითებული ტრანსპორტირების დაწყების თარიღი მონიშნეთ ველი „ტრანსპორტირების დაწყების თარიღი“ და შეავსეთ თარიღის ველი. თუ მოსანიშნს არ მონიშნავთ აიტვირთება მიმდინარე თარიღით.

ასევეა მინოდების საქონლის ჩაბარების თარიღიც.

ველი „ტრანსპორტირების დაწყების ადგილი“ ავტომატურად ივსება ღირებულების ცენტრის ბარათში მითითებული მისამართით ,ხოლო თუ ღირებულების ცენტრის ბარათში მისამართის ველი არ არის შევსებული ,მაშინ სისტემის მფლობელი ორგანიზაციის ბარათში მითითებული მისამართით. შეგიძლიათ სურვილისამებრ შეცვალოთ ველში „ტრანსპორტირების დაწყების ადგილი“ მითითებული მნიშვნელობა.

ველი „ტრანსპორტირების დასრულების ადგილი“ , ივსება მყიდველის ბარათში მითითებული მისამართის მიხედვით. შეგიძლიათ სურვილისამებრ შეცვალოთ ველში „ტრანსპორტირების დასრულების ადგილი“ მითითებული მნიშვნელობა.

ველი „შენიშვნა“ , არის საინფორმაციო ველი რომლის შევსება არ არის სავალდებულო . შეგიძლიათ მიუთითოთ თქვენთვის სასურველი შენიშვნა.

ველი „ჩამბარებელი“, არის საინფორმაციო ველი რომლის შევსება არ არის სავალდებულო. ამ ველში შეგიძლიათ მიუთითოთ ჩამბარებლის სახელი გვარი ან ნებისმიერი ინფორმაცია.

ველი „მიმღები“ არის საინფორმაციო ველი რომლის შევსება არ არის სავალდებულო. შეგიძლიათ მიუთითოთ მიმღების სახელი გვარი ან სხვა ნებისმიერი ინფორმაცია.

დააჭირეთ ღილაკს „შემდეგი“.

	კოდი	საგანი	რაოდენობა	ერთეული	ფასი	თანხა
▶ 1	001	საქონელი1	50	ცალი	25.0000	1250.00
1						1250.00

ეკრანზე მოცემულია ასატვირთი საქონლის სია რაოდენობა ფასი და თანხა. დააჭირეთ ღილაკს „დასასრული“

სერვისის მომხმარებლის სახელი: oris\_oris:206322102  
შეინახე პაროლი:  .....  
დაუკავშირდი შემოსავლების სამსახურს  
ორგანიზაცია: სატესტო

შეინახე  
 გააქტიურე  
 დაასრულე


ზედნადების დასრულების შემდეგ ატვირთვით ანგარიშ-ფაქტურა  
 ანგარიშ-ფაქტურა გადავუგზავნოთ მყიდველს

სერვისის შემოწმება      ატვირთე      დაბრუნე

ეკრანზე მითითებულია სერვისის მომხმარებელი და პაროლი . შეგიძლიათ შეცვალოთ.

ასევე მოცემულია სასაქონლო ზედნადების სტატუსი „შეინახე“, „გააქტიურე“, „დაასრულე“. შეგიძლიათ ნებისმიერი სტატუსის მონიშვნა. თუ გსურთ ზედნადებთან ერთად აიტვირთოს ანგარიშ-ფაქტურაც და გადავუგზავნოთ მყიდველს, მაშინ მონიშნეთ ველი „დაასრულე“ და გააქტიურდება ველები „ზედნადების დასრულების შემდეგ ატვირთვით ანგარიშ-ფაქტურა “ და „ანგარიშ-ფაქტურა გადავუგზავნოთ მყიდველს“. მონიშნეთ შესაბამისი მოსანიშნებიც.


ამ შემთხვევაში მონიშნეთ ველი „დაასრულე “ და ველები „ზედნადების დასრულების შემდეგ ატვირთვით ანგარიშ-ფაქტურა “ და „ანგარიშ-ფაქტურა გადავუგზავნოთ მყიდველს“ . დააჭირეთ ღილაკს „ატვირთე“




გამოვა ეკრანი სადაც მოცემულია ატვირთული ზედნადების და ანგარიშ-ფაქტურის ნომერი და "ID".

თუ გააკორექტირებთ მინოდების ოპერაციას, დადგებით ბარათზე „სხვადასხვა“. ველები „ზედნადების ნომერი“ , „ზედნადების ID “, „ანგარიშფაქტურის ნომერი“, „ანგარიშ-ფაქტურის ID “, იქნება შევსებული შესაბამისი ინფორმაციით.

ეხლა ვნახოთ თუ როგორ ხდება შემოსავლების სამსახურის ვებ გვერდიდან საკუთარი ზედნადების ჩამოტვირთვა ,რომელიც არის ვებ ვერდზე და არ გაქვთ სისტემაში.


**მენეჯერული აღრიცხვა/მინოდების ოპერაციები** . დააჭირეთ ღილაკს  შემოსავლების სამსახური ზედნადების ჩამოტვირთვა.



ფილტრში აუცილებელია გაიფილტროს ჩანაწერები შექმნის თარიღით,ტრანსპორტირების დაწყების თარიღით ან ზედნადების ნომრით ჩამოთვლილთაგან რომელიმე მაინც უნდა იყოს გამოყენებული. შეგიძლიათ ასევე დამატებით გამოიყენოთ სხვა ფილტრებიც. ამ შემთხვევაში მონიშნეთ ველი „შექმნის

თარიღი“ მიუთითეთ სასურველი დიაპაზონი და დააჭირეთ ღილაკს „ჩამოტვირთე ზედნადებები შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზიდან“.

ეკრანზე გამოჩნდება ფილტრის შესაბამისი სასაქონლო ზედნადებები. მოძებნეთ სასაქონლო ზედნადები ან ზედნადებები და მონიშნეთ, რომლის ჩამოტვირთვაც გსურთ. ამ შემთხვევაში მონიშნეთ ერთი ზედნადები და დააჭირეთ ღილაკს „ჩამოტვირთე“.



ეკრანის თავში მოცემულია სტატისტიკა თუ რამდენი ზედნადები ჩამოიტვირთა, ამ ზედნადებში რამდენი საქონელია და რამდენია ყურადღება მისაქცევი.


ველზე „შევავსოთ ველი [საგნის ანგარიში] იმ ჩანაწერებისათვის, რომელსაც მონიშნული აქვს ველი[მონიშნე]“ დაჭერისას გახვალთ ანგარიშებზე მოძებნეთ სასურველი ანგარიში. ამ შემთხვევაში „1610“ დადექით მასზე და დააჭირეთ ღილაკს „ავირჩიოთ“.

ველზე „შევავსოთ ველი [არის საგანი] იმ ჩანაწერებისათვის, რომელსაც მონიშნული აქვს ველი [მონიშნე]“ დაჭერისას მონიშნება ველი „არის საგანი“. ამ შემთხვევაში ეს ველი მონიშნულია.


ველზე „შევავსოთ ველი [არის ძირითადი საშუალება] იმ ჩანაწერებისათვის, რომელსაც მონიშნული აქვს ველი [მონიშნე]“ დაჭერისას მონიშნება ველი „არის ძირითადი საშუალება“.

ველზე „შევუსაბამოთ საგანი [RS საგნის კოდის] მიხედვით, რომელსაც მონიშნული აქვს ველი [მონიშნე]“ დაჭერისას პროგრამა მოძებნის საგნების სიაში საქონელს, რომელსაც აქვს კოდი რაც მითითებულია ველში „RS საგნის კოდი“ და შეავსებს საქონლის მახასიათებლების შესაბამის ველებს ეკრანზე.

დააჭირეთ ღილაკს „შემდეგ“.



ველში „რომელი თარიღით შესრულდეს ოპერაცია “ ჩამოშლად სიიდან აირჩიეთ შესაბამისი ჩანაწერი,თარიღი რომლითაც გსურთ მიწოდების ოპერაციის დამატება.



ამ შემთხვევაში აირჩიეთ „გააქტიურების თარიღი“

ველში „ღირებულების ცენტრი “ მიუთითეთ სასურველი ღირებულების ცენტრი(საწყობი) , საიდანაც უნდა მოხდეს საქონლის რეალიზაცია. დადებით აღნიშნულ ველზე  ღილაკზე დაჭერით (ან კლავიატურაზე Alt+B), გახვალთ ღირებულების ცენტრის ეკრანზე მოძებნეთ სასურველი ღირებულების ცენტრი. ამ შემთხვევაში დადებით ჩანაწერზე „საწყობი “.

დააჭირეთ ღილაკს „დასასრული“. მიწოდების ოპერაცია დაემატება მიწოდების ოპერაციების სიას , ასევე დაემატება ოპერაციის შესაბამისი გატარებები.

საბუღალტრო გატარებები , რომელიც მიწოდების ოპერაციების შესრულებას მოყვა შეგიძლიათ ნახოთ , **ბუღალტერია/გატარებები** ან შეგიძლიათ დადგეთ თქვენს მიერ შესრულებულ მიწოდების ოპერაციაზე,მიწოდების ოპერაციების ეკრანში და დააჭიროთ ღილაკს  .დააჭიროთ ღილაკს  . იხ.ეკრანს:



ოპერაციის კორექტირება

ოპერაციის თარიღი: 23.10.2021 18:30:38

დოკუმენტის ნომერი: 2

ოპერაციის ტიპი: მიწოდების ოპერაცია

კომენტარი:

	ანგარიში	ანგარიშის დასახელება	დებიტი თანა	კრედიტი თანა	ვალუტა	ღირებულება ცენტრი	დებიტი რაოდენი	კრედიტი რაოდენი	ერთეულ	ფულ კატეგ
1	1410 3	12345678910 შპს "მე...	1,250.00		GEL	საწყობი				
2	6110 1	შემოსავალი დასაბე...		1,059.32	GEL	საწყობი				
3	3330	გადასახდელი დღგ		190.68	GEL	საწყობი				
4	7210	გაყიდული/შემენი...	539.24		GEL	საწყობი				
5	1610 1	001 საქონელი1		539.24	GEL	საწყობი		50.0000	ცალი	
			1,789.24	1,789.24						

შეინახოთ უარი

შეგიძლიათ ნახოთ გატარებები და დახუროთ ეკრანი.